# ვაკანსიის დეტალები

| | |
|---|---|
| თანამდებობის დასახელება: | **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დირექტორი** |
| დამსაქმებელი: | **შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“** |
| კატეგორია: | **ხარისხის მართვა** |
| განცხადების წარდგენის ბოლო ვადა: | **4 მაისი, 2015** |
| ადგილების რაოდენობა: | **1** |
| სამსახურის ადგილმდებარეობა: | **ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. #13** |
| სამუშაოს ტიპი: | **სრული განაკვეთი** |
| გამოსაცდელი ვადა: | **3 თვე** |

**სამუშაოს ზოგადი აღწერა**

ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას სამივე მიმართულებით:

1. პერსონალის პროფესიული (აკადემიური და სამეცნიერო) განვითარების ხარისხის მონიტორინგი, შეფასება და მეთოდურ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
2. სწავლისა და სწავლების პროცესის მონიტორინგი, შეფასება და მეთოდური უზრუნველყოფა;
3. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მეთოდურ-ექსპერტული უზრუნველყოფა, თვითშეფასების მომზადება.

**სამუშაოს დეტალური აღწერა**

ა) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკაზე დაყრდნობით განსაზღვრავს აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიას და პროცედურებს; მეთვალყურეობს და აფასებს არსებული პროცედურების ეფექტურობას და ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტთან და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებთან ერთად განიხილავს მათი გაუმჯობესებისათვის საჭირო ცვლილებებს.

ბ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და კვლევითი პროცესების სისტემურ შეფასებას; გეგმავს და კოორდინაციას უწევს დაქვემდებარებულ თანამშრომელთა საქმიანობას, აკონტროლებს თანამშრომელთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხსა და დროულობას.

გ) შეიმუშავებს სილაბუსებისა და სასწავლო პროგრამების სტანდარტებს; ატარებს აკადემიური პროგრამებისა და საგნების სილაბუსების შეფასებას; ფაკულტეტის დეკანთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი დამტკიცებისათვის.

დ) აანალიზებს და აფასებს სწავლისა და სწავლების პროცესის ეფექტურობას ცალკეული პროგრამის ფარგლებში, გამოიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

ე) შეისწავლის სწავლისა და სწავლების ინოვაციურ ტექნოლოგიებს, საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ახორციელებს ღონისძიებებს პრაქტიკაში მათი დანერგვისათვის;

ვ) შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების ინდიკატორებს და სტანდარტებს. აანალიზებს და აფასებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. ეკონომიკური პრობლემების სამეცნიერო ანალიტიკური ცენტრის მისამართით გასცემს რეკომენდაციებს.

ვ) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების პროცესს კადრების განყოფილების უფროსთან ერთად; ქმნის და განახორციელებს პროფესიული განვითარების მიზნობრივ პროგრამებს; კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ტრენინგებისა და სხვა ღონისძიებების დაგეგმვასა და მოწყობას.

ზ) აანალიზებს სტუდენტთა მხარდაჭერის უზრუნველყოფის საკითხებს, გამოიმუშავებს რეკომენდაციებს მათი პერსონალური განვითარებისა და მხარდაჭერისათვის.

თ) შეისწავლის და აფასებს უნივერსიტეტის სასწავლო რესურსების მდგომარეობას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

ი) ორგანიზაციას უწევს ავტორიზაცია/აკრედიტაციის ჩატარებას და გარე აკრედიტაციისათვის თვითშეფასების მომზადებას; დახმარებას უწევს ფაკულტეტებს სახელმწიფო და საერთაშორისო აკრედიტაციისათვის მომზადებაში.

კ) აქტიური თანამშრომლობის გზით ამყარებს მჭიდრო კავშირებს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის გასაუმჯობესებლად.

**ძირითადი მოთხოვნები**

- მინიმალური განათლება: **მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული**
- განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება: **სასურველია უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება**
- უმაღლესი განათლების სისტემის, მოწყობისა და პრინციპების ცოდნა
- სამართლებრივი აქტების ცოდნა:
  - საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";
  - საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";
  - [საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №89/ნ, 2010 წლის 14 სექტემბერი ქ. თბილისი]
    (საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ)

[საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №13/ნ 2012 წლის 25 იანვარი]
(მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების ენობრივი სისწორის შემოწმების საფასურის დამტკიცების შესახებ)

[საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №224/ნ 2011 წლის 29 დეკემბერი]
(უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ)

[საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №126/ნ]
(უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ)

[საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №127/ნ]
(საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ)

[საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №10/ნ, 2010 წლის 4 თებერვალი ქ. თბილისი]
(უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ)

[საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1067, 2009 წლის 1 დეკემბერი ქ. თბილისი]
(ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ)

[საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №149, 2005 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი]
(უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის დანართის ფორმის დამტკიცების შესახებ)

[საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ, 2010 წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი]
(საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ)

[საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №98/ნ, 2010 წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი]
(საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და

საფასურების დამტკიცების  შესახებ)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №65/ნ
(საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3
(უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №154/ნ
(სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/ნ
(ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ)

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №404
(დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების წესის დამტკიცების შესახებ)

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №406
(დოკუმენტის ლეგალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ)

- კომპიუტერული საოფისე პროგრამების (Microsoft Office ) სრულყოფილად ფლობა, ინტერნეტ რესურსების გამოყენების უნარი.

**დამატებითი მოთხოვნები**

- სასურველი სპეციალობა/მიმართულება: სოციალური, განათლების ადმინისტრირება, სამართალი ან ბიზნესის ადმინისტრირება;
- სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება და უცხო ენების ცოდნა (ინგლისური, რუსული);
- ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) ცოდნა;
- კვლევების ჩატარებისა და მონიტორინგის გამოცდილება.

**პერსონალური უნარები**

- ანალიტიკური და სისტემური აზროვნების უნარი;
- სწავლის უნარი;
- სწრაფი რეაგირების და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების უნარი;
- შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის უნარი;

- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- დავალებათა განაწილებისა და დელეგირების უნარი;
- დაგეგმვის, ლიდერობის და ხელმძღვანელობის უნარი;
- მოლაპარაკების ეფექტურად წარმართვის უნარი;
- გუნდური მუშაობის, გუნდის შექმნის უნარი.

**კონკურსის ეტაპები**

- განცხადებების (აპლიკაციების) გადარჩევა აღნიშნული პოზიციისადმი წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად;
- დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან;
- კონკურსი ჩატარდება გასაუბრების სახით.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, გამოაგზავნოთ რეზიუმე (CV) ფოტოსურათთან ერთად, შემდეგ მისამართზე: lelakelbakiani@gmail.com არაუგვიანეს 2015 წლის 4 მაისისა. სათაურის ველში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება.

**საკონტაქტო პირი:** ელგუჯა დეისაძე
მობ. ტელ.: 599 94 40 34